**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 142 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 142

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

რედაქცია აუწყებს იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც მხოლოდ 5 მანეთი აქვთ წარმოდგენილი, შემოიტანონ დანარჩენიც 1 ივლისამდე, რათა გაზეთი გზავნა არ მოესპოთ.

ვიდემ საქალაქო **პანქელე-მის სამხატვრო საქმეებს** ძსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს.

(15—13)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქეშანა**

2.

**ალი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотности.**

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

**ქართველნი მკურნალნი:**

**ბედევანიშვილი მიხეილ,**—ერდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** შეტეკოპურის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ვ. ბ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ზ. ს.ე ლში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთეს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. ბედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ჯალ.რჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძის.) ოთხშ., პარას.. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. ბედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

სატელეგრაფო სააგენტოები. — პორტ-არტურის ესკადრა.—იაპონელების მწყრლობა.—მარშალი ოიამა —წვრილი ცნობები.

ჩვენი სატელეგრაფო სააგენტოები ვერ აკმაყოფილებენ მკითხველებს, — ამბობს ნ. ვ. კორესპონდენტი. მე არ ვიცი. რამდენი აგენტი ჰყავთ შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ მათ შორის, ვინც კი არის, სამხედრო საქმის მცოდნე ნაკლებადა სჩანს; ვერ გაურჩევიათ საყურადღებო საქმე წვრილმანისაგან და ვერ გამოუხატავთ თავისი აზრი. მტრის მოქმედების შესახებ ვერა გაურკვევიათ რა. უმნიშვნელო შეტაკება ბრძოლად მიაჩნიათ. საერთოდ არავითარი პროგრამმა არა აქვთ და არც შეუძლიანთ იქონიონ. რიცხვს ყურადღებას არ აქცევენ. ამას წინად ერთი სწერდა, ვაფანგოუსთან, 5 ივნისს, ჩვენ რამდენიმე ათასი კაცი დავკარგეთო. ბრძოლა კი 2 ივნისს იყო. ამისთანა შეცდომა კაცს აფიქრებინებს, ვითომც 5 ივნისსაც ყოფილიყოს საშინელი ბრძოლა.

«სავაჭრო სააგენტო-უცხოელ აგენტების ცნობებს აგროვებს გაზეთებიდგან. ზოგი მათგანი კი უსირცხვილოდა სტყუის. ჰორი რა გადასაცემია. საეჭვო ამბავი უნდა გაარკვიონ. (ნ. ვ.).

—

დეპეშამ გვაცნობა, რომ პორტ არტურის ესკადრა 10 ივლისს ნავთსადგურიდგან გასულიყო. მიზეზი გასვლისა არ ვიცით, ხოლო ის კი ნამდვილად გავიგეთ, რომ ნავთსადგურის შესავალი თავისუფალი ყოფილა და არა დახშული, როგორც წინად იწერებოდნენ, და ამასთანავე წინად დაზიანებული გემები პორტ-არტურში შეუკეთებიათ. რა აზრი ჰქონდა კონტრ-ადმირალ ვიტგეფტს, ესკადრა რომ გარედ გაჰყავდა? პორტ-არტურის ესკადრა მაინც ისეთი ძლიერი არ არის, რომ ადმირალ ტოგოს ესკადრას შეებრძოლოს. იქმნება კონტრ-ადმირალ ვიტგეფტს უნდოდა რამდენიმე იაპონიის კრეისერი ან ნაღმოსანი ჩაეგდო ხელში და დაეღუპა, ვიდრე ადმირალი ტოგო მიეშველებოდა. იაპონიის ფლოტი ხომ ეხლა დანაწილებულია, ერთი რაზმი პორტ-არტურს დარაჯობს და სხვები აქეთ იქით დაიარებიან საჭიროებისამებრ. იქმნება კონტრ-ადმირალ ვიტგეფტს ის აზრი ჰქონდა, ადმირალი ტოგო თავს ვერ დაიჭერს, როდესაც რუსის ფლოტს ნავთსადგურს გარედ დაინახავს და ჩვენკენ გამოექანებაო. ამ შემთხვევაში შესაძლოა ადმირალ ტოგოს რამდენიმე გემი ყუმბარებს დასტაკებოდა და დაღუპულიყო და, თუ ესკადრა პორტ-არტურს მიუახლოვდებოდა, მაშინ ციხის ზარბაზნებიც გასცემდნენ პასუხს. იქმნება პორტ-არტურის ესკადრას წასვლა სწადდა საითმე, მაგრამ ეს აღარ დასცალდა და პორტ არტურის კიდეს არ მოშორებია.

როდესაც ექვსი ჯავშნიანი გემი, ხუთი ჯავშნიანი კრეისერი და 14 ნაღმოსანი პორტ არტურიდგან გავიდა, მაშინვე იაპონელების სადარაჯო გემებმა უმავთულო დეპეშით აცნობეს ადმირალ ტოგოს და ისიც მალე პორტ არტურთან გაჩნდა თავისს გემებით, ხოლო შორი-ახლო გაჩერდა. კონტ-ადმირალი ვიტგეფტი ლაოტეშანისკენ დაიძრა, მაგრამ პორტ-არტურის კლდეებსა და ფორტებს არ მოჰშორებია, საყურადღებოა, რომ წინად პორტ-არტურის ესკადრა «ზოლოტოი გორასთან» ჩერდებოდა, რადგან ის უფრო კარგს სიმაგრეს წარმოადგენს და დიდის გემების სადგომადაც ის ადგილი უფრო დასამხრისია. ეტყობა კონტრ-ადმირალი ვიტგეფტი ფრთხილობს, ყუმბარები არ იყოს ჩაყრილიო. შესაძლოა იმ ადგილს იაპონელებისაგან ძველი გემები იყოს ჩაღუპული და დიდ გემების მიმოსვლას უშლიდეს.

იმ ღამეს პორტ არტურის ესკადრა ნავთსადგურში არ შესულა, როგორც წინად ჩადიოდა ადმირალ მაკაროვის დროსაც კი. ადმირალ ტოგომ ისარგებლა ამ გარემოებით და ჯავშნიან გემებზე იერიში მიიტანა ნაღმოსნებით. იაპონიის ნაღმოსნები გაუსხლტნენ პორტ-არტურის გარშემო სადარაჯოდ დაყენებულ ნაღმოსნებს და ყუმბარები დაუმიზნეს რუსის გემებს. რითი გათავდა ეს იერიში, დაწვრილებით არ ვიცით. მეორე დილას კონტ-ადმირალმა ვიტგეფტმა თავისი ესკადრა ნავსადგურში შეიყვანა და ტოგოს ესკადრასთან შეტაკებას მოარიდა.

(რ. ვ.).

—

«ჩოუ-შინბუნი» ამბობს რუსეთ-ინგლისის დაახლოვების გამო:

ათისა და ოცის წლის განმავლობაში ინგლისის პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ ვერა ჰბედავდა და მხოლოდ იმასა სცდილობდა, რომ თავისი ინტერესები დაეცვა; რუსეთის პოლიტიკა კი ინგლისის წინაღმდეგ მოქმედობდა. ინგლისის პუბლიცისტები უსაბუთოდ კი არ ამბობენ, ინგლისის სამეფომ მსოფლიო სახელმწიფოს სახელი დაკარგაო. ამიტომ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ ეხლა რუსეთსა და ინგლისს შორის თანხმობის მოლაპარაკება აღიძრას და რუსეთმა ინგლისს კოჰი გაუგოროს. ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ ეხლა მათ შორის ბევრს უთანხმოებას მოეღება ბოლო ინგლისის სურვილისამებრ.

«ასახი-შინბუნი» სწერს:

გერმანიაში იაპონიის საწინააღმდეგო გრძნობამ იჩინა თავი, წინანდელ თანაგრძნობის მაგიერ. ამისი მიზეზი რაღაც საოხუნჯო მაჩვენებაა, რომელსაც «ყვითელთა მოძრაობას» უწოდებენ და რომელიც მის უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორის ფანტაზიამ შეჰქმნა. დასავლეთში ყველა დარბაისელმა კაცმა კარგად იცის, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფანტასმაგორიას, რომელიც ესე ღრმად ჩასჯდომია გულში ვილჰელმ II-ს.

და მაინც ბევრს აფიქრიანებს, რას მოითხოვს იაპონია ომის შემდეგ. ჩვენ კვალად ვიმეორებთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ომის შედეგს არ შეუძლიან სიხიფათო რამ ჩაგვადენინოს. ჩვენ მხოლოდ პირვანდელ მოთხოვნილებას ვადგევართ.

(ნოვოსტი).

—

იაპონიურ გაზეთ „ჯი-ჯი" შიმპოში სწერია: თუ რომ ჩვენ ვერ დავამარცხეთ რუსეთი, ტუქსავასა და მუქარას არ მოიშლის და ტუქსუნს დაუწყებს ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს. ყოველ წუთს მისი ხმლითა ჟღერა და მრისხანე ხმა უნდა გვესმოდეს.

გამარჯვებული იაპონია კი გამოაკოცხლებს და წარმატების გზაზე დააყენებს ჩინეთსა და იაპონიას, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება სრულიად შეიცვლება. ორივე სახელმწიფო ამავე დროს თავისუფალი და დამოუკიდებელი იქმნება, ორთავე სახელმწიფოს კარი გაიღება მსოფლიო ვაჭრობისა და მრეწველობისათვის.

ოღონდ ორივე მოპირდაპირე ერთმანერთს მიანებონ და ომს მალე მოეღება ბოლო. ხოლო თუ ერთ-ერთს ხელი შეუწყო ვინმემ სესხითა თუ გემების მიყიდვით, მაშინ ომიც გაგრძელდება და ვაჭრობის კრიზისიც უფრო გამწვავდება, რაც აუცილებლად ყველა ომს მოსდევს.

«ნიპონი» ამბობს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შესახებ:

საფრანგეთი რომ ინგლისსა და გერმანიას არ ერიდებოდეს და რუსეთს დახმარებას უწევდეს—ეს ჩვენთვის საწყენი იქმნებოდა, ხოლო თუ მეგობრობას მხოლოდ იმაში გამოიჩენს, რომ მოკავშირე სახელმწიფოს ქვა-ნახშირსა და სურსათს მიაწოდებს, მაშინ თავის მეგობრისაგან მადლობასა და სამაგიეროს ვერ მიიღებს და ჩვენ კი ტყუილად მოგვიმდურებს.

—

როგორც ვიცით, იაპონიის ჯარის მთავარ-სარდლობა მანჯურიაში მარშალ ოიამას მიანდეს. ამ მარშლის შესახებ უცხოეთის გაზეთები სწერენ:

ოიამას უმთავრესი ღირსება—სიმტკიცე და გამბედაობაა; თავის განზრახვის განხორციელებას უმეტ-ნაკლებოდ ასრულებს. ომის ველზედ, უეჭველია, მალე შენიშნავენ, რომ ჯარს რაღაც ენერგიული ძალა ამოქმედებს. მარშალი სამოც წელს გადასცდა, მაგრამ სიჭაბუკის ცეცხლი ჯერ არ შეჰნელებია. ოიამას 1870 წელს საფრანგეთ-გერმანიის ომში მიუღია მონაწილეობა და საფრანგეთის ჯარში ყოფილა. ფრანგული ენა კარგად იცის და ევროპიულად არის განვითარებული. ამ ოცის წლის წინად ოიამა გერმანიაში გაუგზავნიათ და რაღაც დიდი საქმე დაუვალებიათ. იმპერატორ ვილჰელმ I-ს პატივისცემით მიუღია. ჩინეთ-იაპონიის ომში პორტ-არტურის წინააღმდეგ მოქმედობდა, იმას მიუტანია იერიში და ციხე აუღია კიდეც. (ნ.).

—

უცხოელი გაზეთები ამბობენ, ვითომც ლიაოიანისკენ სამხრეთიდგან მიმავალს იაპონიის ჯარს რამდენჯერმე ჰქონია ცხარე შეტაკება რუსის ჯართან.

«დეილი ქრონ». ირწმუნება, ვითომც იაპონელებსა და რუსებს ხაიჩენთან ცხარე ბრძოლა ჰქონიათ. ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა და რუსებმა უკან დაიწიესო (ნ.).

—

ლიაოიანიდგან დეპეშით იუწყებიან: იაპონელების მოწინავე რაზმები გაიჩოუსთან გამოჩნდნენ. 10 და 11-ს ცხარე შეტაკება ჰქონდათ გენერალ მიშჩენკოს რაზმთან. პოლკოვნიკი სტრიეოვი მხარში დასწრეს. აქ მოიყვანეს 23 ხუნხუზი, რომლებსაც ფერადი ფანრები ჰქონდათ და იაპონელებს რაღასაც ანიშნებდნენ. ინგლისის გაზეთები იუწყებიან, 2 ივნისს დაჭრილი პოლკოვნიკი მერჩინსკი იაპონელებს ტყვედ წაუყვანიათო. (რ. ვ.)

—

«ბერლ. ტაგ» ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდგან, პორტ-არტურზე მიმავალი იაპონელთა ჯარი რაზმებად განაწილდა და 7 ივნისს მაღლობები დაიჭირა. ამ ჯარის უფროსად გენერალი ბილტი არის, არტილერიისა პოლკოვნიკი გატო. ორთავეს განათლება გერმანიაში მიუღიათ.

(რ. ვ.)

—

ბოლოს დროს ჩინელები მტრულად ეპყრობიან რუსებს. ტიურენჩენის ბრძოლის შემდეგ, როგორც «ნოვ. ვრ.» კორესპონდენტი იწერება, ჩინელებს რუსის ჯარის კაცების საფლავები გაუთხრიათო. მდიდარი ჩინელები რუსის ქაღალდის ფულს ამერიკულ ვერცხლში სცვლიანო. იაპონელები კი ყალბს რუსის ფულს ამრავლებენ, რომ აღარავინ მიიღოს. სანოვაგე მეტად ძვირია.

ამბობენ, ჩინეთის გენერალ მაის კორპუსის ნაწილი მონგოლიაში არის და ჩრდილოეთისკენ მიდისო, რუსეთის საზღვართან. იქნება ამ ჯარმა ვერა გაბედოს-რა რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ჩინეთი ნეიტრალიტეტს ადგია, მაგრამ ხუნხუზებს კი აგულიანებს და ახალ ბრბოების შეკრებას ხელს უწყობს.

მუკდენიდგან დეპეშით იუწყებიან:

10 ივნისს ღამე, კორსის ახლო სამხრეთისკენ, ხუნხუზების დიდი ბრბო ერთბაშად რკინის გზის ხიდს დასცემია მდინარე დუნლიაო-ხეზე. გზის მცველთა რაზმმა ხუნხუზები გაჰფანტა. ეს ხიდი ხუნ-

ხუნხუზებს ძალიან ამოუჩემებიათ და ორი-სამი დღე ისე არ გაივლის, რომ ხუნხუზები არ დაეცნენ. ხუნხუზებს უფროსებად იაპონელი აფიცრები ჰყავთ. ყველანი კარგად არიან შეიარაღებულნი, მწყობრად მოქმედობენ და ავაზაკთა ბრბოს არ წააგვანან. (ნოვ.).

—

ლონდონის ვაზეთებს დეპეშებით ატყობინებენ კორესპონდენტები, იაპონელთა პირველი ლაშქარი დაიძრა და წინ მიდისო; დაწვრილებით კი არას იწერებიან და ისიც კი არა სჩანს, საიდგან გაუგზავნიათ დეპეში.

იაპონელები ყველაფერს ჰმალავენ. აქამომდე არავინ იცის არამც თუ ჯარის მოძრაობა, არამედ სად არიან სარდლები. იაპონელები არ ამჟღავნებენ, როდის, საიდგან და სად მიდის მარშალი ოიამა (იქვე).

სეულში რაღაც საეჭვო მოარული გაჩენილა—ხორველა თუ ხოლერინა. კორეის იუსტიციის მინისტრიც ამ მოარულით გამხდარა ავად (იქვე).

გენერალ-კუროპატკინს გიორგის ჯვრით დაუჯილდოვებია, სხვათა შორის, ეფრეიტორი ზაქარია ჯაჭვაძე, რომელიც დაჭრილი ყოფილა, მაგრამ ომში დარჩენილა და ამხანაგებს ამხნევებდა (მ. ვ.).

## ტფილისი

—

*** გუშინ, 18 ივლისს, ტფილისის დედათა სათრომფესაონალო სასწავლებლის მოსწავლენი ბათუმს წავიდნენ საექსკურსიოდ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟენერმა ივანოვსკიმ მოსწავლეთ ცალკე ვაგონი დაუთმო.

*** მკითხველთ უწყიან, რომ კავკასიის საუცხოვო ხელოვნებათა წამქეზებელი საზოგადოება კისლოვოდსკში მოძრავ გამოფენას ჰმართავს. გუშინ 18 ივნისს საზოგადოებამ ტფილისიდან კისლოვოდსკში გაგზავნა სურათები გამოფენაზედ ტფილისელ მხატვართა.

*** ქალაქის გამგეობას და ხმოსან იურისტებს ამ დღეებში კრება ექმნებათ. უნდა გამოარკვიონ, არტილერიის მოედანი სამხედრო უწყებას ეკუთვნის. თუ ქალაქის თვით-მმართველობის საკუთრებაა, ამ იდგილს სასულიერო უწყებაც ჩემულობს.

*** დღეს, 29 ივნისს, მიწად-მოქმედებისა და სიხელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის სადგომში დანიშნულია კავკასიის მეხილეების საზოგადოების წევრთა კრება. რომელსაც ოთხ საგნამდე აქვს გინსახილველი. სხვათა შორის, კრება მსჯელობას იქონიებს, შესაძლებელია თუ არა, რომ საზოგადოებამ მიიღოს ტფილისში განზრახულ მემამულეთა საზოგადოებასთან ერთად.

*** ვორონეჟის სატეხნიკო სასწავლებლის 34 მოსწავლე ტფილისში ჩამოვიდა საექსკურსიოდ. ექსკურსანტები გუშინ უკანვე წავიდნენ.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს ცნობათაგან სჩანს, რომ წარსულის კვირის განმავლობაში ტფილისში გადამდები ავადმყოფობა შემცირებულა. მხოლოდ წითელით გამხდარა ავად ათი ადამიანი, ყვავილითა და ხუნაკით მხოლოდ ერთი კაცი გამხდარა.

*** 28 ივნისს მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი სუმბათოვში მიემგზავრება ახლად აგებულ ეკლესიის საკურთხებლად.

*** მომავალ შემოდგომაზე რევიზიას უპირებენ ამიერ-კავკასიის საერო სკოლებს. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, რომ რევიზორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ სკოლების მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას, ყურადღება მიექცევა იმას, რომ მასწავლებლებს რიგიანი ბინებიც ჰქონდეთ.

*** კვირას, 20 ივნისს, კრება ექმნება ტფილისის უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოებას. კრება დანიშნულია მთავარმართებელის თანაშემწის სადგომში ნაშუადღევის ორ საათზე. განხილულ იქმნება საზოგადოების 1903 წლის მოქმედების ანგარიში და არჩეულ იქმნებიან თანამდებობის კაცნი.

*** მოკლე ხანში ტფილისში დაარსებულ იქმნება ამიერ-კავკასიის საბეითალო საზოგადოება. საზოგადოების დაარსების თაობაზედ შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ და ნება-რთვაც მიუღიათ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-იურისტების შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტა, ქალაქის საზოგადო სავაჭრო-მეოფუსათვის შეიძინოს ბ-ნ ფედოტოვისაგან 2.640 კვად. საჟენი მიწა, საჟენი 10 მანეთად. ამ საგნის დაწვრილებით განსახილველად კრება ერთხელ კიდევ იქმნება.

*** ამ დღეებში ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი სასწავლებლის დირექტორის ხელმძღვანელობით საექსკურსიოდ მიდიან ორიოლის გუბერნიაში ბრიანსკის სამექანიკო ქარხნების დასათვალიერებლად. ამ ექსკურსიისათვის საჭიროა 400 მანეთი.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული დასურათებული წიგნი «წყარო», სახელმძღვანელო მოსამზადებელ კლასებისათვის, მეორე შევსებული გამოცემა, შედგენილი არ. ქუთათელაძის მიერ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 244 გვერდს და ჰღირს ათ შაურად.

*** 9 ივნისს «ქართველ ქალთა სამკერვალო სკოლაში» მოხდა გამოცდა კურს დამთავრებულ 36 ქალისა. გამოცდას დაესწრნენ გამგეობის წევრთა და სკოლის მასწავლებელთა გარდა, ქ. ტფილისის სახელოსნო უწყების გამგე ბ-ნი რაფაელოვი და ამავე უწყების წარმომადგენლები. პპ. მელენჩუკი. მეჭრაბოვი, იუროვსკი და ქალ. ბალკუნოვისა.

ბ-მა რაფაელოვმა და ოთხმა ასსისტენტმა თითონვე გამოსცადეს ქალების ცოდნა, ყველა მოსწავლე ფრიად მომზადებულად და დახელოვნებულად სცნეს და ოცდა თექვსმატსავე ქალს მიუსაჯეს ატესტატი ჭრა-კერვის ხელოსნისა.

მოგვყავს სია ამ ქალებისა: ბილანიშვილის ეკატერინე, ბილანიშვილის ქეთევან, ბერიტაშვილისა, ბეგიაშვილისა, ბადიშვილისა, ბალაშვილისა, გელაძისა, გუდიაშვილისა, გოგოლაძისა, გიგინოვისა, დეკანოზიშვილისა, დათიკაშვილისა, ჯვარიშვილისა, ზვიდაძისა, თეთრაძისა, თოიძე, თუხარელის ოლღას, თუხარელის ანნა, ითრძანიშვილისა, კაიშაურისა, კასიანელი, კობახიძისა, კანდელაკისა, მაღიაშვილისა, მინაძისა, ქავაძისა, სილანტიევისა, სამხარაძისა, უზნაძოვისა, ყანწიაშვილისა, ყორაშვილისა, შალამბერიძისა, ჩხეიძისა, ჩამკეტაძისა, ჰეცლაძისა. ცურკოვისა. სულ 36 ქალი.

მათში ჭრა-კერვის სკოლის დაარსებას აპირებენ: კაიშაური—ფასანაურში, თოიძისა—ლესურში, ბეგიაშვილი—მაჩხაანში, ბილანიშვილები—ზატარძეულში, ყანწიაშვილი—მთიულეთში, ჩხეიძისა—სუფსაში.

### სასიამოვნო ამბავი.

—

ჩვენი ნაცნობი [illegible]ა ყველასაგან კარგად ცნობილი დიმიტრი არაყაშვილი თურმე მიიწვიეს თერგელთა სათემოში, სლობოდა «სასოფლოში» (ალექსანდროვსკაია სლობოდაში) იმ აზრით, რომ ფონოგრაფის საშუალებით გადაელო იქაურ ქართველთა სიმღერები. გარნა საუბედუროდ ეთხოვნათ, რომ მალე მიბრძანდით აქედგანაო, სახიფათო არა მოხდეს-რაო. თუმცა იქაურ-ქართველ ყაზახებს კარგად შეუნახავთ ზნე-ჩვეულობა, ენა და სიმღერები, მაინც ვერ მოუსწრიათ, რომ ჩვენმღერებინათ რამე, რაკი შეკრების ნება არ მიეცათ ატამანს და სხვათა. საბედნიეროდ მეორე სლობოდაში «სარაფანში» მოუსწრია და ჩაუმღერებინებია ბ. დიმიტრი არაყაშვილს 8 სიმღერა, რომელთაგან «ალილო», შობის წინა საღამოს რომ მღერიან ხოლმე, ძვირფას კილოდ უნდა ჩაითვალოს და, თუ არა სჯობიან, არასფრით ჩამოუვარდება კახურს - გურულ-იანულს «ლილოს», სადაც მისი წესი მესრულებისაც კი დამახინჯებულა.

«სარაფანში» როდესაც მივლენ მომღერლები, გარეთ იწყობენ ალილოს და რომ უნდა დაიწყონ ის მუხლი სიმღერისა: «სახლო, ღმერთმან აგაშენოს», გაუღებენ კარებს, შინ შევლენ და იქ გაათავებენ სიმღერას.

იმ სიმღერების კილოს კაცი გაოცებაში მოჰყავს, როგორ შეუნარჩუნებია ერთ მუჭა ქართველობასა ამ ას ორმოც ცელიწადში, სულ მთლად მოწყვეტილს ყოველის მხრიდან ქართველობისაგან?

ზოგიერთი კილო კი, როგორც «თეთრო ქალო», სულ ყაზახურის გავლენისაა. გასაკვირველი ის არის, რომ როგორ შერჩენიათ ეს ელფერი და არ დაუკარგავთ ამ გვარი სიმღერები, როგორც: ალილო, ფერხული (ორპირად), შავლეგავ, მელის სიმღერა, სუფრული, სათამაშო, ავთანდილ გადვინადირე, თეთრო ქალო და სხვ.!!

სამი ნოღაური სიმღერა კი ღმერთმან შეინახოს!

ჭეშმარიტად, რომ სიმღერა ერისა მთელი მისი პსიხოლოგია არის, სადაც მას გამოუხატავს მთელი თავისი ცხოვრება მრავალ ფეროვნებითის მომენტებით. რამდენადაც ეს ნათლად სჩანს იმ ქართულ სიმღერებში, იმდენად მოკლებულია ნოღაელთ სიმღერები: უსიცოცხლონი, ულაზათონი, მოდუნებულნი და ტლაქნი არავითარ სიმპატიას არ იწვევენ. ღმერთმან ინებოს, რომ მეტი მეცადინეობით და შრომით ბევრი ამ გვარი ახალ-ახალი სიმღერები აღმოჩინოს პატივცემულს მუშაკს ბ. არაყაშვილს. ღმერთმან მოუმართოს ხელი!

კარგი იქნებოდა, რომ ეს ვალიკები წ. კ. გ. საზოგ. შეეძინა და ჰქონიყო თავისს ბიბლიოთეკაში, როდესაც ბ. არაყაშვილი გადასწერს.

გიორგი სულაძე.

### ცოტა რამ სახალხო ქართულ წარმოდგენების გამო.

«რად ვარგა კაცი, თუ ცოცხალი
მკვდარს დ ემგზავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი
არა-რა არგოს».

ნ. ბარათაშვილი.

სამწუხაროა, როდესაც შენ გარშემო «ცხოვრობენ», ასე, თუ ისე, მოქმედობენ და შენ კი გძინავს, მკვდარს დამგზავსებიხარ. სამაგიეროდ სასიამოვნოა, როცა სხვების ცხოვრებას შენც ბანს აძლევ, მოქმედობ, აკეთებ რასმე...

ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადო საქმე საზოგადოებამ უნდა გააკეთოს და ამიტომ ყველას მოვალეობად გვაწევს შეძლების გვარად ვიმუშავოთ.

ამისათვის სიხარულით უნდა მივეგებოთ ბაქოს ქართველთა ერთ პატარა ჯგუფს, რომელსაც კარგად შეუგნია თავისი მოვალეობა და სამავალიოო გზასაც დასდგომია.

ვისგან შესდგება ეს პატარა ჯგუფი, რას აკეთებს?

ეს პატარა ჯგუფი შესდგება «პატარა კაცებისაგან», უბრალო მოხელე-მოსამსახურეებისაგან, რომელთა აზრ-გონება ვერ გაუქელავს «ჩინოვნიკურ» «ოდელ-მონობას» და რომელთაც ოცი რიცხვი და «ჩინ-კაკარდა» არ გაუხდიათ ღმერთად, არამედ საზოგადო საქმეს სახალხო წარმოდგენებს ჩასდგომიან სათავეში. ესენი არიან ბაქოს სახალხო წარმოდგენების სადირკვლის გამსკვნელნი, მათვე უნდა დაასრულონ მათი კედელ-სახურავიც.

შესძლებენ თუ არა ამის შესრულებას, მომავალი დაგვანახვებს, მხოლოდ, თუ არ დავივიწყებთ მათს დღევანდელ ენერგიულ შრომას, უეჭველია, მყოობადიც კარგი ექნებათ...

ამ რამდენისამე წლის წინადაც ნდომია ბაქოს ზოგიერთ ქართველს სახალხო ქართულ წარმოდგენების მართვა, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

ერთი წელია სწორედ მას აქეთ, რაც ესეთივე აზრი დატრიალდა ბალახანის ქართველთა შორის, მხოლოდ... ზოგიერთების უსაბუთო - ეჭვიანმა დაცინვამ და თანაუგრძნობლობამ შეაჩერა საქმე.

ერთის სიტყვით—რაც ვერ შესძლო ბევრმა, ის დაიწყო ბ-მა დ. თ—შვილმა, შემდეგ იმას მისცა ბანი ბ.ბ. შველიძემ, კორძაიამ (ეს ერთი ურევია ამ წრეში დიპლომიანი), რამიშვილმა და ახალციხელმა, დაიხმარეს ქ-ნი ანდრონიკაშვილი და გაჩაღდა საქმე: ეს მეოთხეთ გამართეს რკინის გზის დეპოში წელს წარმოდ-

## ფელეტონი

—

### „სალიტერატურო ქართული“

სილ. ხუნდაძის გამოკვლევა. 1901 წლ. ქ. ქუთაისი.

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა) *)

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ქართულ ენაზედ ისეთი საყურადღებო წიგნი არ გამოსულა, როგორიც არის ზემოდ დასახელებული შრომა ბ-ნ სილ. ხუნდაძისა. თუ რამდენ შრომასა და დროს თხოულობს ავტორისაგან ასე მეცნიერულად შემუშავებული ნაწარმოები, ეს ადვილად გასაგები და მისახვედრია მხოლოდ იმისთვის, ვისაც თვითონაც უშრომნია ამ გვარ საგანზედ.

ასეთ საკმაო მოზრდილ შრომაში, რომელიც შეიცავს 240 გვერდს საშვალო ტანის წიგნისას და რომელიც შეეხება ისეთს ჯერ მეცნიერულად ნაკლებად გამოკვლეულს საგანს, როგორიც არის ქართული ენა, ავტორს, საფიქრებელია, აქა-იქ შეცდომები მოუვიდოდა, ანუ თავის კერძო მოსაზრებას ენის რომელისამე მოვლენის შესახებ საზოგადო სახმარებლად საჭირო მოვლენად მიიჩნევდა ჩვენის ლიტერატურისათვის. ეს აგრეც არის, როგორც ქვემოდ დაინახავს მკითხველი რამდენიმე.

მაგრამ... იქნება გახსოვდეთ, პროფ. ალ. ხახანაშვილმა აკი რეცენზიაც დასწერა ამ შრომის შესახებ (ნახ. «კვალი» 1902 წლ. № 18) და იმაში გამოაცხადა «თითქმის ყოველ მის (იგულისხმე ზემოდ დასახელებული წიგნი ბ-ნ სილ. ხუნდაძისა) სტრიქონს ქვეშ ხელს მოვაწერთ ნიშნათო». მაშ, პროფესორმაც ხელის მოწერითა დაამკიცა სისწორე და სინამდვილე ბ-ნ სილოვან ხუნდაძის ყოველთა მოსაზრებათა და აწი ვის რა ეთქმის!

ერთ ვიღაც დიდებულ მეფეს სჯულიერის მეუღლისაგან მიეცემოდა ხოლმე უმგზავსო და მახინჯი შვილები, ხოლო საყვარლისაგან—ჩინებულნი და მშვენიერნი. როცა კარის ექიმს ჰკითხა მიზეზი ამ არა სასურველის მოვლენისა, უკანასკნელმა რაღაც პორნოგრაფიული ხასიათის პასუხი მისცა. სწორედ ეს [illegible] ანეგდოტი გამახსენდა როცა დიდად პატივცემულ ალ. ხახანაშვილის ბიბლიოგრაფიული წერილი წავიკითხე.

მართლაც, ნეტარხსენ. დ. ჩუბინაშვილის შემდეგ, გარდა ყოვლად პატივცემ. პროფ. პეტრიაშვილისა, რომელმაც შესანიშნავი მეცნიერული ნაწარმოებნი შესძღვნა სამშობლო ლიტერატურას, ქართულ ენაზე არც ერთს ჩვენს დღევანდ. პროფესორთაგანს, მათ შორის ბ-ნ ალ. ხახანაშვილსაც, საამისო (ფარსაგი) არა დაუწერიათ-რა. უცხო ენაზე კი იკვლევენ ჩვენს წარსულს, ან გააცნობენ უცხოელებს ჩვენს ისტორიას, ძველს და თანამედროვე ლიტერატურულ ნაწარმოებთა და სხვ. და სხვ. ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, დიდი, ფრიად დიდი ღვაწლია და ჩვენთვისაც სასარგებლო, მაგრამ ამით ზემო-აღნიშნული ფაქტი მაინც ხომ ფაქტად რჩება.

I

ავტორი ზემოდ დასახელებული შრომისა ბ-ნი სილ. ხუნდაძე სიტყვებისა და სიტყვის ფორმების ერთთა ამორჩევაში, მეორეთა დაწუნებაში ხელმძღვანელობს ორის პრინციპით: კეთილ-ხმოვანებითა და ენის გაადვილება—გამარტივებით. კეთილ-ხმოვანება ენაში მეტად განუსაზღვრელი რამ არის: რაც ერთს, მაგალ. ბ-ნ სილ. ხუნდაძეს, კეთილ-ხმოვანად მიაჩნია, ის შეიძლება მეორეს უკეთილ-ხმოვანოთ მოეჩვენოს. ენის გამარტივება-გაადვილება (შეად. ჩემ. სტ. «მოამბე» 1895 წ. IX) ამ შემთხვევაში მისაღები კრიტერიუმია. მაგრამ ენა, როგორც მოგეხსენებათ, აზროვანების ორგანოა და მისი მთავარი დანიშნულება მდგომარეობს აზრთა გადაცემა-გაგებინებაში. და ამ მიზნის მისაღწევად ენა არა ყოველთვის ადგია გამოთქმის გაადვილებისა და გამარტივების გზასა; ან და ხშირად ენის მოვლენაში, რაც პირველ შეხედვით გაზვიადება-გართულებად მ გვაჩნია, შესაძლოა ენის გამარტივებით იყოს გამოწვეული (ნახ. ზემ. დასახ. სტ.).

გავუზიარებთ მკითხველებს ზოგიერთს ჩვენს შენიშვნებს მოხსენებულ წიგნის ავტორის სხვა და სხვა მოსაზრებათა და შეხედულებათა შესახებ.

ავტორი წინასიტყვაობაში წერს რასმე (ცოტას რასმე მაინც შეიძენს) და ტექსტშიაც (გვ 26—27) შეეხება ნაცვალ-სახელებს—რამე, ვინმე. იგი ამბობს: „ძველ მწერლობაში... ყოველთვას პირველი ნაწილი იცვლება და ბოლოში უცვლელად ემატება ნაწილაკები მე და ღაც: ვისიმე, ვისმე და სხვ.“ ახლა, ავტორის სიტყვითაც, ორივე ნაწილს აბრუნებენ (რასმეს, ვისმეს), ან მარტო უკანასკნელ ნაწილთაგანს (ვინმეს, რამეს). «რამემ»—ამ ბრუნვაში ახალ ფორმას ეძლევა უპირატესობა, რადგან ძველი ფორმა უკეთილ-ხმოვანოა (გვ. 27, შენიშ.). საზოგადოდ კი «ძველი ფორმები უფრო კეთილ-ხმოვანია და—უმჯობესია ისინი ვიხმაროთ... ვინმე, ვისიმე ვისმე, რამე, რისმე და სხვ.» ibid. ყოველ ამაში ბ ნ სილ. ხუნდაძეს ეთანხმება პროფ. ბ-ნი ალ. ხახანაშვილიც.

ჩვენ ჩვენის ნებით არ ძალგვიძს ერთნი ფორმანი (უკეთილხმოვანონი) მოვსპოთ და მეორენი (კეთილხმოვანნი) გავავრცელოთ. მაგრამ ენის მოვლინებებში, ისე, როგორც სოციალურ-ეკონომიურ მოვლინებებშიაც, ერთი რამე კი შეგვიძლია: თუ ვიცით რომელიმე მოვლენა საიდგან მოდის და რომელის გზით საითკენ მიილტვის, ჩვენ შეგვიძლია ეს მსვლელობა ცოტათ თუ ბევრად დავაჩქაროთ. სხვა გზითა და მიმართულებით კი ვერ ვატარებთ, მხოლოდ არჩეულის გზით მსვლელობას დავეხმარებით.

ავიღოთ ზემომოყვანილი ნაცვალ სახელები ვინმე და რამე. ეს ნაცვალ სახელები რთული სიტყვებია. ენის პირველ ფორმაციის დროს «ვინ»-ს და «რა»-ს დიდად დაუკავშირებლად ემატებოდა ნაწილაკი «მე» და ამ დროს იბრუნვებოდა მხოლოდ პირველი ნაწილნი. მერე «მე» უფრო მჭიდროდ მიეკრა პირველ ნაწილებს და მაშინ ესეც მოექცა ბრუნვებში (ვისმეს რასმეს). უკანასკნელს ფორმაციაში «ვინ» და «მე», «რა» და «მე» ისე შეუერთდებიან და შეუკავშირდებიან ერთმანეთს, რომ მათი სხვა-და-სხვა ელემენტთაგან შედგენილობის გამოცნობა ენათ მკვლევართა საქმე გახდება. და მაშინ დაბოლოება-ღა იბრუნვის, რომლის დასაწყისს ეხლაც ვხედავთ. თუ ჩემ მიერ ნაჩვენები გზა სწორეა,—მაშინ (ავტორის მიერ აღნიშნულს კი არა) მომავალი ამ ფორმებს ეკუთნის: ვინმე, ვინმესი (შემოკლ. ვინმეს), ვინმეს, ვინმემ; რამე, რამეს (შემოკ.), რამეს, რამემ და სხ. (ვინმეის, რამეის, რაღაცეის-დიალექტური ფორმებია [1]).

ამ მოსაზრებას უფრო ასაბუთებენ ნაცვალსახელები ვიღაც და რაღაც ანუ, უკეთ ვსთქვათ, ვიღაცა, რაღაცა. სიტყვაში ვიღაცა უფრო ძნელი მისახვედრია, რომ პირველი ნაწილი ამ შეერთებული სიტყვისა არის ვინ. მომავალში ეს ნაცვალსახელები დაიბრუნვიან ისე, როგორც უბრალო სიტყვები, მაგალ. ტოროლა.

საღვთო წერილში (წიგ. მოსესი «მეორე სჯულისა». თ. 24,1) წერია: «მო თუ ვინმე-იყვანოს ცოლი». წარმოვიდგინოთ, რომ უწინ ასე ცალ-ცალკე იწერებოდა. ახლანდელ ენაზე რომ გადმოვიტანოთ ეს ბიბლიური ფრაზა, გამოდის: თუ ვინმემ მოიყვანოს ცოლი. მოყვანილი წინადადება იმას ამტკიცებს, რომ პრეფიქსი «მო» იმ დროს ცალკედაც იხმარებოდა (როგორც ახლა ზედ) და სიტყვის ძირთან ყვანა ისე მსუბუქად დაკავშირებული ყოფილა, რომ მთელი ორი სიტყვა ჰყოფს იმას იმ მთავარი სიტყვის ძირისაგან, რომლის თავსართია იგი დღეს. «ყვანა» ცალკე უპრეფიქსოთაც იხმარება დღეს, მაგრამ როცა მას ახლავს რომელიმე თავსართი (წა, მო, მი, ა-ყვანა). ეს პრეფიქსები ისე მჭიდროთ არიან მიწებებულნი ამ სიტყვის ძირთან, რომ მათ შორის, გარდა ზმნის მიმოხრის ელემენტთა, სხვა სიტყვების ჩართვა დღეს შეუძლებელია. საღვთო წერილის ენა მრავალ ასეთ მაგალითებს გვიჩვენებს: შოათუვხდე, განთუხვიდოდე.

«ვეფხის-ტყაოსანშიც» ნახმარია: შერასმეჰყვეს (132 გ. ყიფ. გამ.), მოცამკლავს (171 გ.), მოცავინმკლავს (181) და სხ. ეს სიტყვებიც მოწმობენ, რომ პრეფიქსები მო, მე იმ დროს ენაში უფრო თვით მდგომარე სიტყვები (სიტყვის ნაწილები) ყოფილან.

ზოგ სიტყვებში კი თავსართი სიტყვას მთლად შეხორცებია (ძირთან ერთ ხორცად ქცეულა); ამგვარ სიტყვის მიმოხრა, თუ კი იგი ზმნაა, უბრალო მარტივი ზმნის მსგავსად ხდება; მაგ. ამ გვარ სიტყვად მიმაჩნია წარმოება: ვწარმოებ, წარმოებ, წარმოებს და სხ. ანუ ვაწარმოებ, აწარმოებ, აწარმოებს. სიტყვაში წარმოება წარ იგივე ელემენტია, რაც მაგალ.

*) თუმცა ჩვენ არ ვეთანხმებით საზოგადო აზრს ავტორისას, მაგრამ მაინც ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგან შიგ ბევრი სამართლიანი საგრამატიკო შენიშვნაა მოთავსებული. რედ.

[1]) ავტ. მიერ ხმარებ. ნათეს. ფორ. კილოის და სხ. თუ არ ლექსებში, ვგონებ ვერც ლება არ მოელის.

გენა და დარბაზი ყოველთვის გატენილი იყო ხალხით...

ოღონდაც საქმე კი წავიდეს კარგად და ბ-ნი თ—შვილი არასფერს არ თაკილობს, თავის ხელით მიაქვს წარმოდგენისათვის ნათხოვარი ტანსაცმელ-ავეჯეულობა და თვითვე მიაჩანჩალებს უკან. ერთის სიტყვით, სულითა და გულით უყვარს ეს საქმე, გაუტაცნია ამ საქმეს და ვუსურვოთ, რომ ბოლომდე გაჰყოლოდეს სიყვარულ-გატაცება: «სადაც არ არის სიყვარული და გატაცება, იქ არ არის სიცოცხლე, იქ ბევრი არაფერი გაკეთდებარა»...

საზოგადოდ ჩვენი თეატრი დღეს ცუდ მდგომარეობაშია. უმთავრესი მიზეზი ის არის, ჩემის აზრით, რომ წარმოდგენებს ცოტა ესწრება საზოგადოება, შემოსავალი არა აქვს და ღარიბ დრამატიულ საზოგადოებას არ ძალუძს ხეირიანად გაუძღვეს საქმეს. მართლაც და ჩვენს თეატრს რომ არ შეუძლია რიგიანად ასაზრდოვოს ჩვენი მსახიობნი, იგინი იძულებულნი არიან სადმე სამსახურში შევიდნენ, ძალღონე ორად გაყონ და «იქაც-აქაც» ყოფნა რას მოიტახს, ხომ იცით!...

ეს რას-ღა მივაწეროთ, რომ წარმოდგენებს ჩვეულებრივ არ ესწრება საზოგადოება?

ორში ერთს: ან ნივთიერად ჩვენს სიღარიბეს, ან თეატრისადმი ჩვენს გულცივობას, მის არა სიყვარულს. პირველისაგან მეორე უფრო საყურადღებო: მაგალითისათვის მივმართოთ, თუ გინდათ, ქუთაისის «ბულვარის» მზომელ-მტკეპნელს ზოგიერთს ყმაწვილს: ნიადაგ უკაპეიკო ისე კოხტად არის ჩაცმულ-გამოწყობილი, რომ მტერს თვალებს დაუყენებს, ქართველი ყმაწვილი, შეძლებაც ჰქონდეს, ასე ლამაზად ძვირად ჩაიცვამს. ადვილი ასახსნელიცაა: პირველს უყვარს კოხტად გამოწყობა, ეს არის მისი უსაჭიროესი მოთხოვნილება, მეორე კი დიდ ყურადღებას არ აქცევს. ღვთით ყოველთვის იშოვნის დასათრობ ღვინო-არაყს, ქალალდის მოთამაშეცო, სადაც იქმნება, გამოაძვრენს ქაღალდის სათამაშო ფულს და სხ. ცხადია, როგორც ერთს, ისე მეორეს არ შეუძლია ისე ცხოვრება..

რაიცა შეეხება ბ-ნ აკაკისაგან დასახელებულს მიზეზს, რომ «თეატრის შენობა არ გვივარგა» და ვითომ ეს აფერხებდეს ჩვენი თეატრის საქმეს, ეს «სხვათა შორისს მიზეზად» უნდა ჩაითვალოს და დიდად არ არის ანგარიშში მისაღები: მე არ ვიცი, რომ კიდევ სადმე უფრო უვარგისი შენობა იყოს თეატრისათვის, როგორიცა არის ნიკიტინების ცირკი ბაქოში, მაგრამ, როდესაც აქ მელოროსების დასი თამაშობს, ნიადაგ გატენილია დამსწრეებით, მისი უვარგისობა ვერც მოთამაშეთ უშლის ხელს და ვერც დამსწრეთ...

ვინ უნდა შეაყვაროს ჩვენს საზოგადოებას თეატრი, რომ უუსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენდეს? კარგმა მსახიობებმა და სახალხო წარმოდგენებმა.

კარგ მსახიობებს სკოლა მოგვცემსო, მჯერა; მხოლოდ ისიც მრწამს, რომ სანამ მისის მოწყალებით ჩვენი ზოგიერთი ნიჭიერი ქალ-ვაჟი კომისარჟევსკაია და ორლენიევი შეიქნებოდეს, ცოტა გვიან მოგვივა და დღეს ეს როლი, ეს მოვალეობა ისევ სახალხო წარმოდგენებმა უნდა იკისროს...

მართალია, აქაურს ქართველებს რომ ძალიან შეუყვარდეთ თავის თეატრი, მარტო ეს ვერ გამოაბრუნებს საზოგადოდ ქართულ თეატრის საქმესა, მაგრამ ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ და სხვებმა თავისი იციან...

ბაქოს ხსენებულს ჯგუფს კარგად გაუთვალისწინებია ესეები და სინიდისიერად დასდგომია კეთილს გზას. წარმოდგენების მართვის გარდა სამუდამო სახალხო თეატრის აგებაც განუძრახავთ. ამ აზრით ერთს პატივცემულს კაცს სიტყვიერად უთხოვნია ქალაქის თავისათვის მიწა, ისიც დაჰპირებია დახმარებასა და, რადგანაც მისი სიტყვა და საქმე თითქმის ერთია, ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ ამის დაგვირგვინებისა...

შეიძლება, ეს საქმეები ბევრს სასაცილოდაც არ ჰყოფნის, შეიძლება ზემორე ჩამოთვლილთ მეტიჩრებს, «ВЫСКОЧК ებს» ეძახდეს, მაგრამ რა გაეწყობა!.. დეე, იცინონ!.. მხოლოდ, როცა სიცილით ღრანჭები ეტკინებათ, იმედია, დადუმდებიან!...

ჩვენს საძაგელს გარდამავალს ხანას უიმედობა დასჩემდა. ყველგან უსასოება, უსასოება და უსასოება!..

რა ვუყოთ მერე, რომ დამბლა დაგვეცა და ცალი ხელი მოგვწყვიტა? ნუ თუ ეს იმის ნებას გვაძლევს, რომ ერთიანად მოვეშვათ, ყოვლისფრის იმედი დავკარგოთ და სენი ისე გავამწვავოთ, მეორე ხელიც, ფეხებიც და თვით ენაც წაგვერთვას, მთლად მოვკვდეთ?...

რა საკადრისია!.. ჩვენ ბევრი რამ გვტკივა და ამის წამალი შრომა, შრომა და დაუღალავი შრომაა!..

დღემდის ბაქო-ბალახანაში გამართულ ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღია: ქ-ნ მესხს, ანდრონიკაშვილს, ე. ღორთქიფანიძისას, ნადირაძისას, ჩივაძისას, ახალციხელისას და შველიძისას, ბ-ნ შველიძეს, ჩივაძეს, ვამეკელს, ნ. მაჭავარიანს, რამიშვილს, ტალუქვაძეს, ჯიჯოშვილს, ახალციხელს, ნადირაძეს და სხვ. თქმაც არ უნდა, რომ ზოგი მათგანი კარგად თამაშობს, ზოგი კი ნაკლებად, მაგრამ თუ ერთმანერთში შეთანხმება ექნებათ და საქმეს დღევანდელის სიყვარულით განაგრძობენ, მათგან რჩეხული დასი შეიძლება შეიქმნას...

მაშ, გაუმარჯოს ბაქოს ქართულ სახალხო წარმოდგენებს და მასთან ყოველსავე კეთილს საქმეს!..

ვ. მაჭავარიანი.

# დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

17 ივნისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 16 ივნისს: „14 ივნისს, დილის 8 საათზე, ჩვენმა რაზმმა, დაამარცხა რა მოწინავე ცხენოსანი და ქვეითი ჯარი მტრისა, დაიჭირა სადგური სენუჩენი. დილის 9 საათზე შევნიშნეთ მტრის ერთი ბრიგადა, ქვეითა ჯარის წინ წამოწევა შუბლიდან და შემოუარეს მარცხენა მხრივ ჩვენს რაზმსა. ქალაქი სენუჩენიც, რომელსაც კედლები არტყია ირგვლივ, დაიჭირეს იაპონელებმა, რის გამო ჩვენმა ჯარებმა 11 საათზე უკან დაიწიეს ჩრდილოეთად. ზარალის შესახებ ჯერ ეს ვიცით, რომ დაჭრილია 1 აფიცერი და 10 ჯარის-კაცი. დაზვერვამ გზებზე სიხოტანადან ერდაგოუსკენ და კხანზადან აღმოაჩინა, რომ მაიაგოძთან იყო 6 როტა და ორი ესკადრონი მტრისა, 5 ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთად სიხუტანიდან. ამ დაზვერვის დროს დაიჭრა კაპიტანი ვასილიევი, ხორუნჟი მაკაროვი, რომელიც ჭრილობისაგან გარდაიცვალა და 5 ყაზახი. 12 ივნისს მთელი დღე სროლა იყო მოწინავე რაზმებისა. 13 ივნისს დილის ოთხი საათიდან მტრის რაზმმა, რომელშიაც იყო ერთი ბრიგადა ქვეითა ჯარისა ორის ბატარეითა, დაიჭირა სანდიაუ და ზარბაზანი დაუშინა ჩვენს სადარაჯო ადგილს, რომელსაც ეჭირა შუა მთა სამხრეთად სიხუტანისა. ჩვენი სამი როტა მაგრა შეხვდა მტრის ცეცხლსა, მანამ მოეშველებოდნენ. დილის 6 საათზე ყაზახებსა და მთის-ცხენოსანთა ბატარეია მოვიდა პოზიციაზე და დაუწყო ყოველ მხრივ სროლა იაპონიის ბატარეას და შეჯგუფულ ქვეითა ჯარს, რომელიც ჩვენი მარცხენა ფრთისკენ გამოჩნდა. პირველ საათზე იაპონელებმა უკან დაიწიეს, რადგან ჩვენი ჯარი მიაწვა და სდია სანდიაუმდე. ჩვენი ზარალი: ორი აფიცერი გაიკეწლა, მოკლულია 33. 14 ივნისს დილის ექვს საათიდან სიხოლადნთან განახლდა ბრძოლა. ერთმა ყაზახთა და ერთმაც საცხენო ბატარეამ რამდენჯერმე გააქცია მტერი და ჩააჩუმა იმათი ბატარეია. ჩვენმა ქვეითა ჯარის ერთმა ნაწილმა რამდენჯერმე იერიში მიიტანა და უკან დასწია იაპონელნი. ბრძოლა გათავდა საღამოს ხუთ საათზე. მეორე საცხენო ბატარეიამ, რომელიც ამ ბრძოლაში იყო, ყველა გააკვირვა თავისი სიმამაცითა. ბატარეიამ მტრის 8 ზარბაზანს გაუძლო იქნამდე, მანამ სულ არ გამოელია ყუმბარები. ჩვენი ზარალი ჯერ ნაანგარიშები არ არის, მაგრამ, როგორც გვაცნობეს, 50 კაცს არ აღემატება და 20 ცხენს. 13 ივნისს მტრის ერთმა ბატალიონმა და ესკადრომა დაიჭირა ჩეგუანტინი ექს ვერსზე სიხუდანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთად. 13 ივნისს საღამოთი გზაზე სიუანიდან ხაიჩენისაკენ აღმოჩნდა, რომ ვანძიაპუძთან მტრის 27 ბატალიონამდე იყო. 14 ივნისს დილა ადრიანად იაპონელებმა წამოიწიეს ჩვენი პოზიციისაკენ დალინის უღელ-ტეხილთან და შემოუარეს ჩვენს მარჯვენა ფთესა, სულ ერთი დივიზია იქნებოდა ქვეითა ჯარის სამის საბარო ბატარეითა. ბრძოლა გაგრძელდა დილის 7 საათსა და 40 წუთსა. როცა გავიგეთ ძალა მეტრისა და მისი ჩვენსკენ წამოსვლა, ჩვენმა რაზმმა აუჩქარებლივ დაანება თავი დალინის უღელტეხილსა. მტერმა წინ წამოწევა შეაყენა. ჩვენი ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ 200 კაცი იქნება დაზარალებული. 16 ივნისს მტერი წამოვიდა ფენშუილინისა და მოდულინის უღელტეხილებზე ჩვენის პოზიციების გარეშემოვლითა. მოდულინის წინაამდეგ იყო 8 ბატალიონი და 10 ზარბაზანი. ნაშუადღევის 4 საათზე უმთავრესს ლიაოიანის გზაზე მტერმა დაიჭირა კოუდიალინის უღელტეხილი. 12 ივნისსაც იაპონელებმა დაიწყეს წინ წაწევა თავის მარჯვენა ფრთიდან და 13 დილით დაიჭირეს საიმაძი. იაპონიის სამმა როტამ ესკადრონით, საიმაძიდან გამოსულმა, აოტნა ჩვენი სადარაჯო ასეული, მაგრამ უკუ ვაქციეთ.

18 ივნისი.

**პეტერბურგი.** «დელფინგი» ამოიღეს წყლიდგან. როდესაც ნავმოსანი ამოიღეს, შეუდგნენ გემიდგან წყლის გადასხმას; ამ დროს პორუჩიკი გარაზეევი და 3 დაბალი ჯარის კაცი მიუახლოვდნენ ნავმოსნის საყინულეს იმის შესამოწმებლად, იყლო თუ არა წყალმა; საყინულესთან რაღაც მიზეზით აფეთქება მოხდა, რისგანაც მსუბუქად დაიჭრნენ ზემოხსენებულნი კაცნი. დაშავებულთ შიში არ მოელისთ.

**ჩიფუ** («რეიტერის სააგ.»). 50 ევროპიელი, რომელთაც პორტ-არტური მიატოვეს 10 ივნისს. მოვიდნენ აქ. ესენი იუწყებიან, რომ 10 ივნისს ზღვაზედ მომხდარ ბრძოლის დროს ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლი“ მცირედ დაზიანდა, ხოლო ნაღმიანი ტრანსპორტი «ამური»-კი საგრძნობლადაა. პორტ-არტურში ნუზლსანოვაგე საკმაოდ აქვთ.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). გენზანიდგან დეპეშით იუწყებიან: «დღეს გამოჩნდა ვლადივოსტოკის ესკადრა და ამ ჟამად ქალაქზედ იერიში მოაქვსო».

**კილი.** მეფე ედუარდი გაემგზავრა გემით „ვიქტორია და ალბერტი“-თ.

**ზიანგცხე.** («რეიტერის სააგენტო»). თიბეთლებმა ითხოვეს დროებითი ზავის ამოვდება მოლაპარაკებისათვის.

**ლონდონი.** როგორც ტოკიოდგან იუწყებიან, პორტ-არტურთან იაპონელებს ფორტები კი არ აუღიათ, არამედ მიწის სამი სიმაგრე, დაახლოვებით 7 კილომეტრის მანძილზედ ციხიდგან. იაპონიის მთავრობას დამამტკიცებელი ცნობები არ მიუღია პორტ-არტურთან სამი ფორტის აღების შესახებ.

**ლიაოიანი.** აღმოსავლეთ მხრიდგან მომავალი იაპონიის ლაშქარი, რომელშიაც სამი დივიზიაა, გაჩქარებით მოდის ლიაოიანზედ; გუშინ ეს ლაშქარი ლიაოიანიდგან 13 ინგლისურ მილის მანძილზედ იყო. გრაფი კელლერი უკან იწევს პოზიციების დასაჭერად, რომელიც ლიაოიანის წინ მდებარეობს, და იქ მოუცდის იაპონელებს, რათა შეებრძოლოს.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტ. სააგენტო»). რუსეთის ნაღმის მმუსრველი გემი «ლეიტენანტი ბურაკოვი» მოვიდა აქ პორტ-არტურიდგან, შევიდა მდინარეში და დადგა ღუზაზედ კანონერკა «სივუჩის» მახლობლად.

**სეული.** («რეიტ. სააგენტო»). ოფიციალურ ცნობის თანახმად, ვლადივოსტოკის ესკადრა, რომელშიაც 3 კრეისერია და 10 ნაღმიანი და ნაღმის მმუსვრელი გემი, გამოჩნდა გენზანის მიდამოებში და 180 ყუმბარა ესროლა ქალაქის იმ ნაწილს, სადაც იაპონელნი სცხოვრებენ.

იაპონელებმა გადავლეს მოტიენლინის უღელტეხილი და მიდიან აღმოსავლეთის

---

სიტყვაში წარდგენა, წარწერა და სხ. ხოლო უკანასკნელ სიტყვებში, როგორც ჰხედავთ, წარ უფრო თვით მდგომარე ნაწილია, რადგან ჯერ ამ სიტყვების ფორმებია: წარვადგენ და სხვ.

ზოგი სიტყვა კი თავის ცვალებად განვითარებაში ამ გზით მიდის (ე. ი. რომ ძთავარ ნაწილს სიტყვისას თავსართი განუყოფელად დაუკავშირდეს), თუმცა ბოლომდე ჯერ არ გასულა. ამისი მაგალითი გახლავთ საცოდავი, მრავალტანჯული სიტყვა აღსარებ. ფორმები: ვაღვიარებ და შემდეგ ვაღიარებ, მე ვფიქრობ, უსაქმურ პირთაგან გამოგონილი ფორმები არ გახლავან,—არამედ შედეგია ქართული ენის ზრდა-განვითარების. ხალხის გესმოსანმა, რომელიც ერთად-ერთი ენის შემქნელია, როცა დაუნახავს, რომ პრეფიქსი **აღ** მაგრათ და მტკიცეთ შესისხლხორცებია ამ სიტყვის ძირს, საჭიროდ დაუნახავს პიროვნების დამახასიათებელი (მაჩვენებელი) **ვ** თავში მოექცია და მით ამ სიტყვის მიმოხრა უფრო საზოგადო ზმნების მიმოხრის კანონებისთვის დაექვემდებარებია. ერთი სიტყვით, მე მგონია, რომ უძველესი ფორმაა: აღვიარებ, (ამ ხანაში **აღ** უფრო თვით მდგომარე ნაწილია), შემდეგი: ვაღვიარებ. და სულ უკანასკნელი: ვაღიარებ. თუ რომელი ფორმა უნდა ვიხმაროთ, ამაზე ბრძანებას ვერ გავცემთ, ხოლო ვიტყვი კი, რომ სულ უკანასკნელი ფორმაციის ფორმად მიმაჩნია ვაღიარებ. ამდენი კამათობის შემდეგაც-კი მაინც განაგრძობენ ამ ფორმის ხმარებას.

ეს მაგალითი განცალკევებული არ არის ქართულში. მოვიყვანთ მზგავსსავე მაგალითებს მეგრული დიალექტიდან: იბრული, ვიბრული, ვირული, (ვირბინე); იშებლი, **ვ**იშელი (ავედი); იბრულე, **ვ**ირულე (ვიძინე, ვირულე); იბდი (ივდი), **ვ**ადი (ვიარე); იბკითხი, **ვ**იკითხე (ვიკითხე). ყველა ამ სიტყვებში ბანები ვ-ს ალაგას არის: თანხმოვანთა ასიმილიაციის ძალით **ვ** გადასულა ბ-ზე (შეად. ალ. ცაგარ. **Оп, фон. Мингр. яз.**, გვ. 46, 78).

პირველი ფორმები (ე. ი. ზმნის პირის მაჩვენებელი ნიშნის (ხასიათის) თავსართსა და ზმნის ძირს შუა ჩართვით) იხმარება საზოგადოდ დასავლეთ სამეგრელოში და სამურზაყანოში, ე. ი. იქ, სადაც ენა, აფხაზურის გვერდით, უძველეს და უმდაბლეს ხარისხზე დგას. მეორე ფორმები (ე. ი. პიროვან ნიშანთა თავში მოქცევით) იხმარება უფრო სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში...

პირველი პირის ფორმად ავტორი გრამატიკულის მხრით სწორედ აღნიშნავს ვუწერ და არა უწერ, თუმცა გამოთქმით არავითარი განსხვავება არ არის პირველის და მეორე პირის ფორმათა შორის: (მე, შენ) უყურებ, უშენებ, უკეთებ (მეგრ. უკეთე). და ამიტომ, საფიქრებელია, ფონეტიურ მართლწერამ, ენის მკვლევართა სამწუხაროდ, მთლად მოაშოროს ამ გვარ ფორმებს ეს ხორცმეტად ქცეული ვ.

ავტორი (გვ. 48 51) ჰ-ეს ზმნებში უთავბოლოდ ხმარებასა და იმის იქ სრულიად მოსპობის საჭიროებაზე, შეიძლება, ნამდვილს ამბობს, ხოლო ამ ასოს მთლად ოსტრაკიზმით გაგდება ჩვენი ენიდან ნაადრევად მოსულია. ჯერ ერთი, ეს ბგერა ქართულში დღესაც ხშირად ისმის, მაგალ.: ჰო, ეჰ, ჰაი, ერიჰა; ჰაიჰაი («ვეფხ. ტყაოს.»), მეგრ. ჰამო (საამო, ტკბილი). ჩვენ რომ ეს ასო ხმარებიდგან გავაგდოთ (ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო და სხვა ამისთანეებს თავი რომ დავანებოთ), სახარების სიტყვების მოყვანა რომ დაგვჭირდეს, ასე უნდა ვწეროთ და გამოვთქვათ: „ხე ხე და არა არა“ (ვითომ ჰე ჰე და არა არაო). რაკი ჩვენს ენაშიც ისმის ეს ბგერა, მით უფრო უნდა დავტოვოთ იგი, რადგან თითქმის ყველა კავკასიურ ენებში (აფხაზურ, ჩერქეზ. და სხ.) და მრავალ ევროპიულ ენებშიაც არის იგი.

**ს**-ის ხმარებაზე ზმნებში ავტორი (გვ. 51—55) საკმაო ვრცლად ლაპარაკობს, მაგრამ ძნელად თუ ვინმე დაიჯეროს მისმა მოსაზრებამ, რომ, მაგალით. სჭამე უფრო კეთილხმოვანი და ადვილგამოსათქმელი იყოს, ვინემ ჭამე (მეგრ. ჭკომი). თუ ჩანს (მეგრ. რჩქა), ავტორის აზრით, იოლად მიდის ჟ-ს თ, მით უფრო ჭამე.

ხშირად ავტორის მოსაზრება (დასკვნა) მართალია, ხოლო საბუთი, რომელზედაც ამყარებს ამ დასკვნას, სინამდვილეს მოკლებული გახლავს. იგი ამჯობინებს ვ ს ხმარებას ზმნის ფორმაში - შევიტყვე (შევიტყვე-სთან შედარებით. გვ. 58) და ამბობს: სრული ფორმა იყო შევიტყევ... ვ-მა გამოთქმაში ადგილი იცვალა, ე. ი. მოხდა ესრეთ წოდებული მეტათეზისი და გაკეთდა ფორმა «შევიტყვე».

ეს **ვ**, რომელსაც ეპოტინება ავტორი. მისი აზრით, დაბოლოებაა. ნამდვილად კი იგი ძირის ბგერა გახლავს. მაშასადამე პირვანდელი სრული ფორმა შევიტყვევ არ იქნებოდა. ძირი (თუნდ ფესვი) ამ სიტყვისა არის—ტყუ (=ტყვ): სი-ტყუ-ა (სი-ტყვ-ა), ი-ტყუ-ის (ი-ტყვ-ის), მეგრ. შე-ტყუ-ება (შიბ-ტყუ-ი, შიბტყვი-შევიტყვე), შე-ტყუ-ინაფა (შეტყობინება). სახარებაში (მარკ-თ.7,37) ნათქვამია: ყრუთა ასმენს და უტყუთ ატყუბს. ზმნებზე თქმა და სმა ვიტყვით ქვევით.

ზემოხსენებული საფუძვლით ამართლებს ავტორი **ვ**-ს ხმარებას ზმნაში დამიდენია (გვ. 59): მეგრ.—დუალა (დვალა), გე-დვ-ალა; დო-დვა-ალა, მე-დვ-ალა (დადობა, მიდობა).

აქვე შესადარებლად ვახსენებთ ზმნებს დაწყება, და დაწყობა (ავტ. გვ. 73). დაწყება მეგრ. დოჭყაფა (წ=ჭ; ბ=ვ). დაწყობა = მეგრ. დონწყუ-ალა.

ყურდგლობა და თევზ ობა უფრო კანონიერ სიტყვებად მიაჩნია ავტორსა, ვინემ ყურდგლაობა და თევზაობა („სალიტ. ქართ.“ გვ. 63—64). აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი. შოთა რუსთაველი ხშირად ხმარობს მართლაც: ვბურთობდი (49 გ. ყიფ. გამოც.), ბურთობა, მაგრამ ხმარობს აგრეთვე სახელ-არსებითს ფორმას ბურთაობითა (გვ. 10, ყიფ. გამოც.). ამიტომ, მე მგონია, მყოფადში შესაძლებელია ფორმები: ვიბურთა-ვ-ოთ, ჭიდევზა ვ-ოთ.

თავის წიგნის 66 და 67 გვერდზე ბ-ნი ს. ხუნდაძე შეეხება ზმნის ფორმებს— ვყოფილვარ და ყოფილვარ. თუ პირველ ფორმას ე. ი. ვყოფილვარ-ს, ავტორისავე სიტყვით, «ვისრამ.» და უფრო „ვეფხ. ტყაოს“-ც ხმარობს, თუ, მისივე სიტყვით, ხალხიც ორვინიან ფორმას ხმარობს და «ხანდახან მარტო თავში სტოვებს ვ-ს, შუაში კი ჰკარგავს», და თუ ავტორი, წინააღმდეგ ყოველ ამისა, ყოფილვარ-ის ხმარებას ამჯობინებს, უნდა შევნიშნოთ, რომ მას ენის ალღო ანუ, როგორც გერმანელები იტყვიან, **Sprachsinn** ნაკლებად ჰქონია განვითარებული.

ყოფილვარ შემდგარია სიტყვებისაგან ყოფილი ვარ. პირველი სიტყვა-მიმღეობა მუდამ უცვლელი რჩებოდა, და მიმოიხრობდა მხოლოდ შემწეობითი ზმნა ვარ, ხარ და სხ. შემდეგში, როცა ერთმანეთს დაუკავშირდებიან უფრო მტკიცეთ ყოფილი და ვარ, პირის მაჩვენებელი თავსართი **ვ** ყოფილის თავშიც მოექცევა და გამოდის ვყოფილვარ, ვყოფილვიყავ. ბოლოს კი, სადაც შესაძლებელი გახდა, მარტო თავში იხმარება **ვ** (ვყოფილიყავ, ავტ.). მაშასადამე, თავში ვინიანი ფორმები ენის უკანასკნელი ფორმაციის ნაყოფია, და ავტორს კი ეს «ხალხისაგან დამახინჯებულ» ფორმებად მიაჩნია და მათი ხმარების წინააღმდეგ გალაშქრებულა. უნაყოფო ბრძოლა კი უნდა იქმნეს!

82 და 83 გვერდზე ავტორი შეეხება «მოკლულიქმნა»-ს და ამის მზგავს ფორმებს. იგი საფუძვლიანად უარყოფს (თუ სახეში გვექნება მხოლოდ მათი უალაგო ალაგას ხმარება, ან შეუფერებელ სიტყვების ამ ფორმით ხმარება) ასეთ გამოთქმათა ხმარებას. მაგრამ ქართულში, მოგეხსენებათ, იხმარება ფორმები: მოკლული ვარ, დაღუპული ვარ, დამარცხებული ვარ, აღშფოთებული ვარ, შეძრწუნებული ვარ, აღტაცებული ვარ, აღდგენილი ვარ, მორჩენილი ვარ და სხ. და სხ. მყოფადი ამ ფორმებისაგან კეთდება ძირის ქმნას (შექმნა) მეოხებით: აღტაცებული ვიქნები, დაღუპული ვიქნები, მორჩენილი ვიქნები, დამარცხებული ვიქნები. აქედან, როგორც ხედავთ, ერთი ნაბიჯია ფორმამდის დაღუპული ვიქენი, დამარცხებული ვიქენი, (შევიქენი). აქ უცხო ენათა ზედმოქმედებას იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენიც იმ გარემოებას, რომ ქართულში ძირი ქმნა შემწეობითი ზმნის როლს თამაშობს.

ფორმები: მორჩენილიქნა, მოარჩინეს, მორჩა; განკურნებულიქნა, განკურნეს, განიკურნა; შეშინებულიქნა, შეაშინეს, შეშინდა; დამარცხებულიქნა, დაამარცხეს, დაიმარცხა; მოკლულიქნა, მოკლეს, მოიკლა,—ყველა ეს და ამგვარი ფორმები (რომლებიც მნიშვნელობითაც ოდნავ მაინც სხვა-და-სხვაობენ დღეს) ენის გაჩენის პირველ ხანაში, როცა ენა დაუდგრომელ მდგომარეობაში იყო,—შეიძლება ენის სიღარიბესაც მოწმობდა, მაგრამ დღეს პლეონაზმად უნდა ჩაითვალოს (შედ. რუს. **перевели, перевелся, былъ переведенъ; убили, убился, былъ убитъ**).

მგზავსივე ფორმები მეგრულ დიალექტშიაც იპოვება, თუმცა აქ უცხო ენათა გავლენას ალაგი არ აქვს.

ვ. ჭანაია.

(დასასრული იქნება)

გზით ლიაოიანზედ. რუსის ჯარები, გრაფის კელლერის უფროსობით, იჭერენ პოზიციებს უღელტეხილის დასავლეთად.

**ლონდონი.** («რეიტ. საag.). როგორც კობედგან იუწყებიან, იაპონიის ტრანსპორტს «სადომარუ»-ს გაჰგზავნიან ნაგასაკის დოკში შესაკეთებლად.

**პარიჟი.** გუშინ მოაწერეს ხელი დამატებით ოქმს საფრანგეთ-სიამის 31 იანვრის ხელშეკრულობას. ამ ოქმის ძალით, ზოგიერთ მუხლს ხელშეკრულობისას დაუმატეს. ამ ოქმის ძალით, საფრანგეთს ეთმობა ნავთსადგური კრატტი.

**მოსკოვი.** როგორც მნახველები ამბობენ, ქარიშხალი დაიწყო ლიუბლინთან. შავი ღრუბლები შეერთდა ერთ ადგილას, დაეშვა ძირს და შემუსრა ჰალები, მინდვრები, პარკები, ეკლესიის გუმბათები, ქვის შენობები, მილები და სხვა; შემდეგ გაემართა მოსკოვისკენ და გაიშალა. სოფ. დიდი მიტიში ნახევრად განადგურებულია. ჩაპინში მცოხვრებთა ნახევარი დაშავებულ-დაჭრილია.

**ნოვოროსიისკი.** გაემგზავრა ხარბინში შავის ზღვის რაზმი წითელის ჯვრისა, რომელიც ქალაქ ნოვოროსიისკისა და მთელის გუბერნიის ხარჯით შესდგა.

**ხარკოვი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა ისესხოს მთავრობისაგან 200,000 მანეთი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც ომმა გამოიწვია, რადგანაც წინად გადადებული 100,000 მანეთი საკმაო არ აღმოჩნდა.

**სტამბოლი.** 17 ივნისს, (ჰავასის საag.). როგორც ხმა ისმის, ქურთების ორი ბელადი ტრიპოლისს გაუგზავნიათ, რადგან დიდი მძულვარება გამოუჩენიათ სომეხთა მიმართ.

**ლიაოიანი.** 17 ივნისს, (საკუთ. კორესპ.). «ვესტ. არმიი» ამბობს, ყურადღების მისაქცევია ის აღმაშფოთებელი ოინი, რასაც იაპონელები კადრულობენ, როცა ჩინელებსა კორეველებს უსწორდებიან. იაპონელები ძალად ახვევენ თავს სამხრეთ მანჯურიის მკვიდრთ ან იაპონიის ქაღალდის ფულს, ფასით ორშაურიანს — აბაზიანს, რომელზედაც აწერია, ამის პატრონი შემდეგ მიიღებს, როცა რუსებს კონტრიბუციას გადავახდევინებთ, ან არა და რუსულ ყალბ ფულს აძლევენ, მოხერხებით მოჭრილს. ხელმწიფის მოადგილემ უკვე გასცა ბრძანება, რომ არ ენდობოდნენ იმ რუსულ ქაღალდის ფულს, რომელსაც იძლევიან იაპონიის ჯარები.

ამ დღეებში ოქუსა და კუროკის ლაშქრები შეერთდენ და გარს უვლიან ჩვენს ჯარს ჰაიჩოუსთან, რათა მოუჭრან გზა ჩვენს უმთავრეს ჯართან. იაპონელებმა დაიჭირეს დალინის მთის გადასავალი, დიდად შესანიშნავი სტრატეგიული ადგილი. ეს ადგილი კარია სიუიანისა და ზღვაზედ გასვლისა.—უკანასკნელ ცნობათა მიხედვით, ჩვენი მოწინავე რაზმები მხნედ ესხმიან თავის მტრებს. მიშჩენკოს რაზმის შეტევამაც აიძულეს იაპონელები უკან დაიხიონ. სამხრეთ მანჯურიაში დაიწყო დრო გადუღებელის წვიმებისა. ერთს თვეს ამის გამო ყოველივე მისვლამოსვლა შესწყდება. რაკი სურსათი არსაიდან მოუვათ, არც ტყვია-წამალი, არც აქეთ-იქით წასვლის ძალა, მეტადრე ციხის ზარბაზნებით, შესაძლოა იაპონიის ლაშქარი მალე მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდეს.

**ლონდონი.** (რეიტ. საag., ვაშინგტონში სამუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ვითომ როცა მეფე ედუარდი კილს იყო, ვაშინგტონიდან დიდის სიფრთხილით და საიდუმლოდ შეჰკრიბეს ცნობა, შეიძლება თუ არა ლაპარაკი ჩამოვარდეს მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლად რუსეთსა და იაპონიას შორისაო. ხმა არის, რომ ვითომ გამოირკვა, არც ერთს მებრძოლს სახელმწიფოს არავითარი სურვილი არა აქვს რომლისამე მესამე სახელმწიფოს რჩევით ზავი ჩამოაგდოს.

**ნიუ-ჩუანი.** (რეიტ. საag.) კონტრნაღმოსანის «ლეიტენანტ ბურაკოვის» აქ მოსვლამ ძრიელ შეაშფოთა აქაურნი მკვიდრნი. დიდი ბრბო შეიკრიბა ლიაონის ნაპირიდან უცქეროდა, როგორ მოდიოდა რუსეთის სამხედრო გემი. ყველას ჰგონია მაინც, რომ ამ გემს გამოურღვევია ადმირალ ტოგოს ჩახერხებული გემები და მოსულა აქ და თან დეპეშები მოუტანია რუსეთის ლაშქრისათვის.

მანჯურიაში თქეშები გადუღებელია. მზეში ჰაობ ბად გადაიქცა. არტილერიისათვის თითქმის გაუვალია.—ხელმწიფე იმპერატორმა კვლავ უმოწყალესად ინება და უბოძა: ბრილიანტის ნიშნები ალექსანდრე ნეველის ორდენისა ირკუტსკის გენერ.-გუბერნატორს გრაფ ქუთაისოვს, წევრს დაჭრილთა კომიტეტისას პეროლიკს, არტილ. გენერალს კანიშჩევს და სამხედრო საბჭოს წევრს გოლოვინს.

**პარიჟი.** კომბა გამოაცხადა, რომ ელჩი ნამდვილად დავიბარეთ ვატიკანიდან და აღარც დაბრუნდება უკანაო.

**ტოკიო.** 13 ივნისს (ვოლფის საag.) ოფიციალურად იქმნა ნაუწყები, რომ იაპონელებმა დაიჭირეს ფენშუილინის მთის გადასავალი.—13 ივნისს ლაშქარი სამ ნაწილად გაიყო და მიესია უღელტეხილს. რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. 14 ივნისს უღელტეხილი დაჭერილ იქმა. იაპონელების ზარალი სულ 170 კაცია.—ოფიციალურ ცნობით 17 ივნისს რუსთა 6 ნაღმოსანი შესულა «გენზანის ნავ-სადგურში, 200 ყუმბარა უსვრია იმ უბანში, საცა იაპონელები სცხოვრობენ და იაპონიის ზღვაში გემი და იალქნიანი ხომალდი. შემდეგ შეუერთდენ ნავ-სადგურს გარეშე მდგომ სამს გემს და მიიმალნენ. ორი კორეველი და ორი ჯარის კაცი დაჭრილია. შენობანი მცირედ არის დაზარალებული.

**ტიკიო.** (რეიტ. საag.) იაპონიის ესკადრა გაემართა ჩრდილოეთად ვლადივოსტოკის ესკადრის შესაპყრობად, მაგრამ რუსთა გემი ვერ იპოვნა და უკან დაბრუნდა.

**მუკდენი.** მტკნარი ტყუილია გაზეთების ამბავი, რომ ვითომ ზღვაზე ომი იყო პორტ-არტურსა, დიდი ზარალი მოგვეცა და დაგვეღუპა კონტრ-ადმირალი უხტამსკი და 700 მეზღვაური. ჩვენი ესკადრა ნავ-საყუდელში დაბრუნდა და ზარალი არა მოსვლია-რა. არც ხალხი დაჰღუპვია და არც გემი გაჰფუჭებია. ღამის ომში, როცა ნაღმოსნები შებრძოლებულან, ორს ჩვენს ნაღმოსანს მცირედი ზარალი მისცემია. როგორც ეტყობა, მტერს ორი ნაღმოსანი ჩაჰღუპვია ზღვაში. ცნობა არის, რომ 18 ივნისს იაპონიის ფლოტს სროლა დაუწყვია, მერე დიდის ძალით იერიში მიუტანია პორტ არტურის სერებზედ. სამი ოტემა იაპონელებისა უკუუქცევიათ დიდის ზარალით. რუსთა ჯარს მთავარ პოზიციისაკენ დაუწევია. მტერს გაუძლიერებია მოწინავე რაზმნი და კიდევ ჰკვეთებია. დალნიდან მოსულს ჯარს შემოუარნია ჩვენის მარცხენა ფრდედისათვის, რის გამოც დამცველთა რაზმი იძულებული შექმნილა უკან დაეწია. ჩვენი ზარალი: 7 ოფიცერი და 200 ჯარის-კაცი. იაპონელების ზარალი შესამჩნევად მეტია, რადგან ბრძოლის დროს ჯარი შესდგა იმ ადგილას, საცა ნაღმები თურმე ყოფილა ჩაწყობილი და ის ნაღმები დროზედაც აუფეთქებიათ.

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ჭიჭინაძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## ბაჟოსადებნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

15 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირ. სტ. | 94.00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | |
| ლონდონში ჩეკები | 94.55 |
| ბერლინში ,, | 46.30 |
| პარიჟში ,, | 37.50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—$7\frac{1}{2}$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 ის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4½% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | 87 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 379 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 292⅛ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 258¼ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88¾ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. სადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის ფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ა მ ე რ ი კ ი ს
## ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
## ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**

СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
## „ოდონტრინი“ მ. ჯ. ლ...ის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

# „ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

## 11 აპრილიდან გადატანილ იქნება

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.
შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.
საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—5)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაედებით 10 კაპეიკით მეტი ძლირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთი. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

ბ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.
(5—6—)

---

## საუკეთესო სააგარაკო ადგილები
# ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

# ი ი ყ ი დ ე ბ ა

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

---



# ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი

## ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მყარი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

**აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.**

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

ყურადღება მიაქციეთ საფაბრიკო ნიშანს.

---

# ტყავის საქონელი

რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—5).